ნიცის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა 2016 წლის ტერაქტის მსხვერპლთა მოსახსენიებელ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა



2021 წლის 14 ივლისს, თავის ეროვნულ დღესასწაულზე, საფრანგეთმა პატივი მიაგო ხუთი წლის წინ ნიცაში ინგლისურ სანაპიროზე მომხდარი არადამიანური ტერაქტის მსხვერპლს.

2016 წელს სატვირთო ავტომობილი, რომლის საჭესთან ტერორისტი იჯდა, სანაპიროზე, სადაც ბასტილიის აღების დღეს აღნიშნავდნენ, ხალხში შევარდა. ტრაგედიამ 86 ადამიანი იმსხვერპლა. თერთმეტი მათგანი რუსულენოვანი თანამემამულეები იყვნენ, მათ შორის იყო ნიცის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური.

14 ივლისის დილას ნიცაში წმიდა ნიკოლოზის სახელობის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

წინამძღვარმა დეკანოზმა ანდრია ელისეევმა პანაშვიდი გადაიხადა ერთ-ერთი გარდაცვლილის – ამ ტაძრის საკურთხევლის მსახურის, მედავათნე იგორ შელეშკოს ოჯახის წევრების თანდასწრებით.

ლოცვები აღევლენა უდანაშაულოდ მოკლულ მართლმადიდებელ ქრისტიანთა საუკუნო განსვენებისთვის: იგორ შელეშკოსთვის, ნატალია ოტოსთვის, რომან ეკმალიანისთვის, ტატიანა მუხამედოვასთვის, მიხეილ ბეზელევსკისთვის, რიკარდ (ნათლობით გიორგი) კრიუსბერგისთვის, ლიუბოვი, მარინა და ჩვილი სილვია (ნათლობით ლია) პანჩენკოებისთვის, ვიქტორია სავჩენკოსთვის, ალინა ბოგდანოვასთვის და ტერაქტის ყველა მსხვერპლისთვის.

იმავე დღეს ნიცის მერიამ მუნიციპალიტეტის ვილა მასენაში ტრაგედიის მსხვერპლთა სამოქალაქო მოხსენიების ღონისძიება ჩაატარა. წელს ნიცაში მოხსენიების ღონისძიებაზე დასასწრებად საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟან კასტექსი ჩავიდა. მთავრობის მეთაურის გარდა, გარდაცვლილი და დაზარალებული ოჯახის წევრებისა და ცერემონიის სხვა მონაწილეების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ ნიცის მერი კრისტიან ესტროზი და ზღვისპირა ალპების პრეფექტი ბერნარდ გონზალესი.

შემდეგ ყველა დამსწრემ, მათ შორის ნიცის სხვადასხვა რელიგიური თემის წარმომადგენლებმა, ყვავილები შეამკეს 14/7 ტერაქტის მსხვერპლთა დროებით მემორიალი. ცაში გაუშვეს თეთრი მტრედები.

ცერემონიის მონაწილე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი ანდრია ელისეევი მოკლე მისალმებების გაცვლითა და ურთიერთსამძიმრის გამოხატვით შეხვდა საფრანგეთის პრემიერ მინისტრსა და ნიცის მერს.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

ნიცის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის საიტის ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87737/